სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტს

**შეზღუდული პასუხისმგებლობის**
**საზოგადოება "ლევ 2019"-ის**
**დირექტორი**
ლევან ვარსიმაშვილის

ტელ: 551 00-10-00;
ელ. ფოსტა. dartsimelia.dato@gmail.com

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
„13" 03 2023 წ.
№ 1974

# განცხადება

შპს „ლევ 2019"-ს გააჩნია ცემენტის წარმოებაზე ნებართვა, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-503 ბრძანების (18/07/2022) საფუძველზე **შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიასთვის" ქ. რუსთავში ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ლევ 2019".**

საწარმოში, რომელზედაც არსებობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, დამონტაჟებულია ცემენტის დაფქვის წისქვილი, რომლის წარმადობა შეადგენს 12 ტ/სთ-ს. წელიწადში 330 სამუშაო დღის და დღეში 20 საათიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, საწარმოს სიმძლავრე წელიწადში შეადგენს 79200 ტონა ცემენტს.

ქვეყანაში ცემენტის მოთხოვნილებაზე გაზრთასთან დაკავშირებით, საწარმოს ტერიტორიაზე დაიგეგმა დამატებით ახალი 17 ტ/სთ წარმადობის სეპარაციული წისქვილის მონტაჟი, რომელიც ასევე იმუშავებს დღეში 20 საათი და წელიწადში 330 დღე და შესაბამისად დამატებით მიიღება 112200 ტონა ცემენტი.

ექსპლოატაციის პირობების შეცვლის შემდეგ ჯამურად საწარმოში ორივე წისქვილში გამოშვებული იქნება 191400 ტონა სხვადასხვა მარკის ცემენტი.

ასევე ექსპლოატაციის პირობების შემდეგ საწარმოში არსებულ 6 სილოს, ექსპლოატაციის პირობების ცვლილების შემდეგ დაემატება 4 სილოსი, რომელთა თითეულის ტევადობა იქნება ასევე 120 ტონა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული

საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-5 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში თქვენი შენიშვნების გათვალისწინებით, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლევ 2019"-ის ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

ლევან ვარსიმაშვილი
დირექტორი

LEV 2019
LLC "LEV 2019" * 475349749 * GEORGIA * საქართველო, ზუგდიდი, "LEV 2019"